ევროკავშირი საქართველოსთვის

ეტიმ
გავლენის ფონდი

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ფოტო: სოციალური საწარმო "დადარი"
ხის სათამაშო - ბალანსი

პირველი
გავლენის ფონდი საქართველოში

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)

*დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის "თანამშრომლობა დადებითი ცვლილებისთვის - სოციალური მეწარმეობისა და სოციალური ინვესტიციების განვითარება ეკონომიკური და სოციალური გაძლიერებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში" ფარგლებში, რომელსაც საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი(CSRDG) Impact Europe-თან თანამშრომლობით ახორციელებს. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CSRDG და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

Impact Europe

Brot für die Welt

ვინ ვართ ჩვენ?

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (CSRDG)

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

დავფუძნდით **1995 წელს** და გვაქვს საზოგადოებრივ სექტორში წარმატებული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. წლების მანძილზე, ორიენტირებულები ვართ ისეთ შედეგებზე, რომლებიც პოზიტიურ ცვლილებებსა და კეთილდღეობას მოუტანს, როგორც ცალკეულ ადამიანებს, ისე მთლიანად საზოგადოებას.

ჩვენი გუნდი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე მუშაობა ჯერ კიდევ **2009 წლიდან** დაიწყო. ჩვენი მიზანია სოციალური მეწარმეობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. შედეგად, თანამოაზრეებთან ერთად ხელი შევუწყეთ იმას, რომ დღეს ქვეყანაში **150-ზე მეტი სოციალური საწარმო საქმიანობს.**

ჩვენი ღირებულებებია:

- კეთილსინდისიერება
- მიუკერძოებლობა
- პროფესიონალიზმი
- მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა
- თანასწორობა
- გამჭვირვალობა

რატომ სოციალური მეწარმეობა?

ეს არის უნიკალური შესაძლებლობა ცვლილების ინიციატორებისთვის, წვლილი შეიტანონ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი გამოწვევების სისტემურად და გრძელვადიან პერსპექტივაში მოგვარებაში

სოციალური მეწარმეობის განვითარება და მხარდაჭერა ნიშნავს:

- მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ახალგაზრდების, დასაქმებასა და გაძლიერებას
- განათლების ხელმისაწვდომობას
- რეგიონების განვითარებას
- **სოციალური სერვისების განვითარებას**
- ტრადიციული კულტურის შენარჩუნებას
- გარემოს დაცვას

რატომ გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირება?

სოციალური მეწარმეობის მდგრადი განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ინვესტორებისა და ბიზნეს კომპანიების როლის ზრდა სოციალური საწარმოების მხარდაჭერაში.

ეს შესაძლებელია ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი მიდგომის

სოციალურ გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების (Social Impact Investing) **გზით.**

ეს მიდგომა გულისხმობს ისეთი ორგანიზაციების გრძელვადიან და საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას, რომელთა მიზანია, ერთი მხრივ, დადებითი სოციალური და გარემოსდაცვითი ცვლილებების შექმნა, მეორე მხრივ, გარკვეული ფინანსური მოგების მიღება.

პირველი გავლენის ფონდი “აქციო”

ხშირ შემთხვევაში, ინვესტირების პროცესის გასამარტივებლად, გავლენის ინვესტორები მიზნების მისაღწევად **სოციალური გავლენის ფონდებს** იყენებენ.

გავლენის ფონდის მისიაა

სოციალური ეკონომიკის განვითარება საქართველოში სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის გზით. ამისთვის ჩვენ, გავლენის ინვესტორებთან ერთად, ვქმნით სივრცეს, რომელიც მოქმედ სოციალურ საწარმოებს ბიზნესისა და გავლენის მასშტაბის ზრდის შესაძლებლობას აძლევს.

გავლენის ფონდის მიზანია

მომდევნო **5 წლის მანძილზე** მდგრადი ბიზნეს მოდელის მქონე **10 სოციალური საწარმოს გაძლიერება**, რომლებიც ხელშესახებ გავლენას ქმნიან შრომითი ინტეგრაციის, გარემოს დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მიმართულებით.

5 წელი

10 სოციალური საწარმოს განვითარებისთვის

თანამედროვე მიდგომა
სოციალურ გამოწვევებზე საპასუხოდ



გამოწვევები, რომელთაც ვპასუხობთ

საზოგადოებრივი გამოწვევები:

- უმუშევრობის მაღალი დონე, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებში;
- არაფორმალური განათლების შესაძლებლობებზე დაბალი წვდომა, განსაკუთრებით რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის;
- გარემოს დაბინძურება, ნარჩენების მართვის სისტემების გაუმართაობა;
- კულტურის განვითარების ხელშეწყობისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის საჭირო ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა.

სოციალური საწარმოების გამოწვევები:

- შეზღუდული წვდომა ფინანსებზე საწარმოს გაფართოებისათვის (მათ შორის, სესხებზე, სამთავრობო პროგრამებზე, სხვა ინვესტიციებზე);
- შეზღუდული წვდომა სოციალური საწარმოების საჭიროებებზე მორგებულ ტექნიკურ დახმარებაზე;
- სოციალური გავლენის დაგეგმვისა და მართვისთვის საჭირო რესურსების, ცოდნისა და უნარების ნაკლებობა.

შესაძლებლობები, რომელთაც ვხედავთ

დღეს საქართველოში **150-მდე სოციალური საწარმოა**, რომლებიც მწვავე სოციალურ და გარემოსდაცვით პრობლემებს აგვარებენ

ნაკლებად მხარდამჭერი გარემოს მიუხედავად, წლიდან წლამდე სოციალური მეწარმეობით სულ **უფრო მეტი ადამიანი და ორგანიზაცია ინტერესდება**

საქართველო მრავალი სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევის წინაშეა, რომელთა მდგრად მოგვარებაში **სოციალურ საწარმოებს უნიკალური როლი აქვთ**

სოციალური საწარმოების ნაწილს უკვე აქვს ბიზნესისა და სოციალური **გავლენის მასშტაბების გაზრდის პოტენციალი და მზაობა**

საქართველოში უკვე არსებობს სოციალურ საწარ- მოებსა და ბიზნეს სექტორს შორის **თანამშრომლობის კარგი გამოცდილება**

ფონდის საინვესტიციო სტრატეგია

მხარდაჭერის სფეროები

შემდეგი 5 წლის მანძილზე ჩვენ მხარს დავუჭერთ 10 მოქმედ სოციალურ საწარმოს, რომელთა საქმიანობა მოიცავს გავლენის შემდეგ სფეროებს:

- შრომითი ინტეგრაცია (მოწყვლადი ჯგუფების დასაქმება) და განათლება
- გარემოს დაცვა
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ტრადიციული რეწვის განვითარება

სოციალური საწარმოების შერჩევის კრიტერიუმები

სოციალური საწარმო(ს) უნდა

- აკმაყოფილებდეს ევროკავშირის მიერ აღიარებულ კრიტერიუმებს და გარემოში პოზიციონირებდეს როგორც სოციალური საწარმო;
- ჰქონდეს მდგრადი ბიზნეს მოდელი და იყოს ეკონომიკურად აქტიური სულ მცირე ბოლო 2 წლის მანძილზე; საწარმოს წლიური ბრუნვა უნდა შეადგენდეს სულ მცირე 30,000 ლარს, ხოლო შემოსავლების 80% უნდა მოდიოდეს პროდუქტის/მომსახურების გაყიდვიდან;
- შეეძლოს სანდო ინფორმაციის მოწოდება ორგანიზაციის ფინანსური და სოციალური შედეგების შესახებ;
- ჰქონდეს ბიზნესისა და სოციალური გავლენის მასშტაბის გაზრდის როგორც მზაობა, ისე პოტენციალი;
- ჰყავდეს ძლიერი და მოტივირებული გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია სულ მცირე 3 თანამშრომლით.

ფონდი პორტფელში არსებულ სოციალურ საწარმოებთან იმუშავებს სტრუქტურირებული და გრძელვადიანი, 3-დან 5 წლამდე, მიდგომით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

საჭიროებებზე მორგებული ფინანსური მხარდაჭერა
(მაქსიმუმ 50,000 ევროს ოდენობით ერთი საწარმოსთვის)

- შედეგებზე დაფუძნებული გრანტები (milestones' based grants)
- 0%-იანი სესხები (soft loans)

საჭიროებებზე მორგებული ტექნიკური მხარდაჭერა
საკონსულტაციო მომსახურება

- სტრატეგიული მენეჯმენტის
- მარკეტინგის, კომუნიკაციებისა და გაყიდვების
- ფინანსების და სხვა მიმართულებით

სოციალური გავლენის შეფასება და მართვა

- დაგეგმვა
- გაზომვა
- ანგარიშგება

გავლენის ფონდის პორტფელი

პირველი გავლენის ფონდი საქართველოში

5 წლის მანძილზე ფონდი ხელს შეუწყობს 10 სოციალური საწარმოს გაფართოებას როგორც ბიზნესის, ისე სოციალური გავლენის თვალსაზრისით

შრომითი ინტეგრაცია და განათლება | **გარემოს დაცვა** | **კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ტრადიციული რეწვის განვითარება**

ფონდი უზრუნველყოფს პორტფელში არსებული საწარმოების სოციალური მისიის მრავალფეროვნებას

სულ მცირე

- **50%** ხელს შეუწყობს მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებას;
- **50%**-ის ხელმძღვანელი იქნება ქალი;
- **50%** ხელს შეუწყობს არაფორმალურ განათლებასა და პროფესიულ ტრენინგებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის;
- **30%** საკუთარ საქმიანობაში გამოიყენებს ეკომეგობრულ/გარემოსდაცვით პრაქტიკებს;
- **20%** ხელს შეუწყობს კულტურის განვითარებას ან/და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.

ფონდის მოსალოდნელი გავლენა

სოციალური საწარმოების

სოციალური შედეგები გაიზრდება სულ მცირე 50%-ით

წლიური ბრუნვა გაიზრდება სულ მცირე 30%-ით

5 წლის მანძილზე ფონდი ხელს შუწყობს 10 სოციალური საწარმოს გაფართოებას

როგორც ბიზნესის, ისე სოციალური
გავლენის თვალსაზრისით, მდგრადი განვითარების შემდეგი მიზნების გათვალისწინებით

- **5** გენდერული თანასწორობა
- **8** ღირსეული სამუშაო ეკონომიკური ზრდა
- **11** მდგრადი ქალაქები და დასახლებები
- **13** კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები
- **17** პარტნიორობა მიზნების მისაღწევად

როგორ ჩაერთოთ ფონდის საქმიანობაში?

იმისათვის, რომ გახდეთ ჩვენი ფონდის გავლენის **ინვესტორი და მხარდამჭერი,** გთხოვთ:

- ✓ გაგვიზიაროთ თქვენი ინტერესი
- ✓ შეიტანოთ ფონდში ყოველწლიურად მინიმუმ **$6,250-ის ოდენობის ინვესტიცია** შემდგომი 4 წლის პერიოდში, თანხის გადანაწილების თქვენთვის მოსახერხებელი მიდგომით
- ✓ მხარი დაუჭიროთ ფონდის განვითარებას თქვენი რესურსებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე

უპასუხე
სოციალურ გამოწვევებს

ჩვენი რესურსები

600,000 $ გვესაჭიროება ფონდის საქმიანობის პირველი რაუნდის სრულყოფილად განხორციელებისთვის 2026 წლამდე

300,000 $

ჩვენ უკვე შევძელით ევროკომისიისგან **300,000 აშშ დოლარის** ოდენობის რესურსის მობილიზება

300,000 $

დამატებით გვესაჭიროება **300,000აშშ დოლარის** ოდენობის ინვესტიციის მოზიდვა

ადგილობრივი რესურსის მობილიზების შემდეგ ველოდებით დამატებით ინვესტიციას ამერიკელი ინვესტორისგან

600,000 აშშ დოლარის ოდენობის ბიუჯეტით ჩვენ შევძლებთ:

1. **10 სოციალური საწარმოს ფინანსურ მხარდაჭერას**
   40-50,000 დოლარის ოდენობით და თითოეულისთვის ორგანიზაციული განვითარების და გავლენის მართვის პროცესების მხარდაჭერას
2. **საჭირო ადმინისტრაციული ხარჯების გაღებას**

რას გთავაზობთ ჩვენ?

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG)

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ჩვენ გთავაზობთ:

- **გახდეთ ლიდერი გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების სფეროში საქართველოში**
- **CSR მიზნების სტრატეგიული მიდგომებით მიღწევისა და მდგრადი დადებითი გავლენის შექმნის შესაძლებლობას**

მდგრადი და გრძელვადიანი გავლენის შექმნა სოციალური საწარმოების მხარდაჭერით

- სოციალური გავლენის შექმნა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებისა და განათლების, გარემოს დაცვისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სფეროებში;
- 10 სოციალური საწარმოს მხარდაჭერა ბიზნესის გაფართოებისა და სოციალური გავლენის მასშტაბის გაზრდის თვალსაზრისით;
- საინვესტიციო კომისიაში მონაწილეობა როტაციის პრინციპით;
- სამიზნე სოციალური საწარმოების მენტორობა.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ნეთვორქინგი

- თანამედროვე და განახლებადი ინფორმაცია გავლენაზე ორიენტირებული ინვესტირების მიდგომების შესახებ;
- საერთაშორისო დონეზე მოქმედი გავლენის ინვესტორების გამოცდილების გაზიარება გავლენის ინვესტორთა საერთაშორისო წრეში გაერთიანება და შესაბამის ღონისძიებებზე დასწრება;
- საქართველოში გავლენის ინვესტორთა პირველი კლუბის წევრობა და სფეროს განვითარებაში აქტიური მონაწილეობა.

ჩვენ გთავაზობთ

გამჭვირვალობას
გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საქმიანობისა და ფინანსური ანგარიშების სახით

მუდმივად განახლებად ინფორმაციას
ფონდის საქმიანობისა და სოციალური შედეგების შესახებ

დროისა და რესურსის დაზოგვას
სოციალურ საწარმოებში ინვესტირებით შესაბამისი ადმინისტრაციული საქმიანობა განხორციელდება მთლიანად ფონდის მიერ

თქვენი, როგორც გავლენის ინვესტორის პოპულარიზაცია და სტრატეგიულ პარტნიორად პოზიციონირება შემდეგი არხების გამოყენებით:

- ფონდის ვებ გვერდი და სოციალური მედია
- ტრადიციული მედია
- კომპანიის ლოგოსა და ბანერების განთავსება ფონდის ღონისძიებებზე
- Impact Europe-ის სხვადასხვა საკომუნიკაციო რესურსი
- კომპანიის ლოგოს განთავსება ფონდის საკომუნიკაციო მასალებზე

ჩვენი პარტნიორები

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

European Commission

ევროკომისიის გენერალური დირექტორატი სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში (DG NEAR)

Impact Europe

IMPACT EUROPE - ევროპაში სოციალური გავლენის ინვესტირების სფეროში წამყვანი ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 320 წევრ ორგანიზაციას 30-ზე მეტი ქვეყნიდან ევროპაში, აშშ-ში, ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში. ჩვენ ვართ ერთადერთი ქართული ორგანიზაცია, რომელიც 2017 წლიდან Impact Europe-ის (ყოფილი EVPA) ასოცირებული წევრია.

Brot für die Welt

გავლენის ფონდ "აქციოს" მხარდამჭერია **"პური მსოფლიოსთვის"**

ჩვენი გუნდი

გვჯერა, რომ მხოლოდ ერთად და ერთობით, რესურსების გაერთიანებით, შევძლებთ მნიშვნელოვანი ცვლილებების მიღწევას, საზოგადოების კეთილ-დღეობის უზრუნველყოფასა და ქვეყნის მდგრად განვითარებაში ჩვენი ღირებული წვლილის შეტანას.

ქრისტინე კანდელაკი
გავლენის ფონდის მენეჯერი
- kristine.kandelaki@csrdg.ge
- +(995)555 50-00-57

ეკა დათუაშვილი
სოციალური მეწარმეობის პროგრამის კოორდინატორი

ანა ეკატერინე ილურიძე
პროტფელის ლიდი

ნინი ხუგაშვილი
გავლენის ფონდის კომუნიკაციის მენეჯერი



#აქცია გავლენა ინვესტიციად

ფონდის მმართველი ორგანიზაცია:
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი - CSRDG

იოველ ჯებაშვილის I გასახვევი #5,0177, თბილისი, საქართველო

+(995)32-239-90-19

office@csrdg.ge, actio.impactfund@gmail.com

https://actio.ge/, https://csrdg.ge/

https://www.facebook.com/CSRDG, https://www.facebook.com/impactfundactio

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი